მარიამ მკალავიშვილი, მაია ბოჭორიშვილი,
მაია ბაქრაძე, თამარ ხატიაშვილი

# მოქალაქეობა 8

## მოსწავლის წიგნი

ეპიგრაფი

# საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

## **თავისუფლება**

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ლექსი დავით მაღრაძის
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

# მოქალაქეობა

# VIII კლასი

## მოსწავლის წიგნი

Don't Copy

მოქალაქეობა, VIII კლასი
მოსწავლის წიგნი

Don't Copy

გამოცემის წელი და რიგითობა 2020 წელი

# სარჩევი


შესავალი ..... 4

სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშნები: ..... 5

I თავი – სამოქალაქო საზოგადოება ..... 6

1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში ..... 7
2. საზოგადოებრივი ინიციატივები ..... 13
3. არასამთავრობო ორგანიზაციები ..... 21
4. მედია და საზოგადოება ..... 30
5. საზოგადოებრივი ცენტრები ..... 40

II თავი – ადგილობრივი თვითმმართველობა ..... 49

1. მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა ..... 50
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები ..... 55
3. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციები ..... 60
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციები ..... 66
5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა ..... 71
6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ..... 78
7. გამჭვირვალობა და საჯაროობა ..... 84
8. ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის ..... 90

დანართი ..... 100

ლექსიკონი ..... 105


Do not copy

# შესავალი

„დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე [...] უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში...“

დიმიტრი უზნაძე
„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები“ 1917 წ.

შენ ცხოვრობ ქვეყანაში, რომელიც უკვე სამი ათეული წელია დემოკრატიის მშენებლობის გზას დაადგა. სრული დემოკრატიის მისაღწევად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, ბევრის გაკეთება შენც მოგიწევს შენს მეგობრებთან ერთად. დემოკრატიის შენება მხოლოდ დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქეებს შეუძლიათ. მაგრამ იცი კი რას ნიშნავს იყო ნამდვილი მოქალაქე, თავისი შეგნებით, და ცხოვრების წესით? იცი, რას გულისხმობს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა? აქტიურად როგორ ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში? როგორ შეძლო გაატარო შენი პრინციპები - იყო ტოლერანტი და დაიცვა ადამიანთა უფლებები? იმოქმედო შენი ოჯახის, თემის, ქალაქისა თუ სოფლის საკეთილდღეოდ? გასაქანი მისცე შენს იდეებს, ინიციატივებს, დაისახო გრძელვადიანი მიზნები?

ეს სახელმძღვანელო გაგცემს პასუხს ყველა ამ კითხვაზე და დაგეხმარება გაერკვე იმ მთავარ ღირებულებებსა თუ პრინციპებში, რაზეც დგას დემოკრატია.

აქ წაიკითხავ შენი თანატოლების ისტორიებს, გაეცნობი მათ ფიქრებს, აზრებს, ნახავ და მოისმენ სხვადასხვა მედიასაშუალებით გადმოცემულ რეპორტაჟებს, წაიკითხავ სტატიებს, წერილებს და მათი საშუალებით გაერკვევი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა: აქტიური მოქალაქეობა, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი თვითმმართველობა.

სახელმძღვანელო გაძლევს საშუალებას წარმართო დისკუსიები, განახორციელო პროექტები, იმსჯელო, იკამათო, აღმოაჩინო ბევრი ისეთი რამ, რაც მომავალში დაგეხმარება აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში, ეს კი მოგცემს საშუალებას ღირსეული ადგილი დაიჭირო სამოქალაქო საზოგადოებაში და მონაწილეობა მიიღო შენი მშობლიური ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში.

გისურვებთ წარმატებებს !

# სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშნები:

იმუშავე ინდივიდუალურად

კომპლექსური დავალება

დისკუსია

უპასუხე კითხვებს:

იმუშავეთ ჯგუფებში

იმუშავეთ წყვილებში

საშინაო დავალება

პროექტი

იმსჯელე

კითხვები დოკუმენტური მასალის შესახებ

დავალება (“დაფიქრდი”, “აღწერე”, “შეადარე”, “გაეცანი” და სხვ.)

კითხვები თვითშეფასებისთვის

Don't Copy

# თავი I

# სამოქალაქო საზოგადოება

Don't Copy

# 1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში

**საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს:**

- შენი აზრით, რა თვისებები გამოარჩევს პიროვნებას საზოგადოებაში?
- რა გავლენას ახდენს პიროვნება საზოგადოების განვითარებაზე?

თითოეული ჩვენგანი დამოუკიდებლად (ინდივიდუალურად) ვიღებთ იმ გადაწყვეტილებებს, რაც მხოლოდ პიროვნულად გვეხება, ამასთან, ჩვენ ყველა ისეთი გაერთიანების ან ჯგუფის წევრები ვართ, როგორიცაა: ოჯახი, სასკოლო საზოგადოება, სამეზობლო, თემი და სხვა. ამ გაერთიანებებში სხვებთან ერთად ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს განსხვავდება ინდივიდუალური გადაწყვეტილებისგან, რადგან ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილებები არა ერთი, რომელიმე ჩვენგანის, არამედ ჯგუფის ყველა წევრის ინტერესებს ეფუძნება.

ზოგადად, ადამიანი არის ინდივიდი, პიროვნებაც და მოქალაქეც, ის ამავე დროს საზოგადოების წევრია, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა თუ პოლიტიკულ ცხოვრებაში მონაწილეობს და შესაბამისი უფლებები და მოვალეობები აქვს.

მნიშვნელოვანია, ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, რელიგიურ და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, რამდენად აქტიურები არიან და ზრუნავენ ცალკეული მოქალაქეები სხვებზე და მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**
**მუხლი 29.1**

ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

**საზოგადოება** არის ადამიანთა მყარად მოწესრიგებული ერთობა, რომელიც იქმნება საერთო ინტერესებისა და საჭიროებების, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გადახაზე რვეულში და შეავსე.

**ჩამოწერე** სამი საზოგადოება, რომლის წევრადაც მიიჩნევ თავს.

**ჩაწერე** გრაფაში: ამ საზოგადოების წევრობა ნებაყოფლობითად მიგაჩნია, თუ სავალდებულოდ?

**აღწერე** ის კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ამ ჯგუფში და მის მიმართ გაგაჩნია.

**შეადარე** ერთმანეთს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში შენი უფლება-მოვალეობები.

| საზოგადოება | ნებაყოფლობითი/ სავალდებულო | უფლებები | მოვალეობები |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

არ ჩაწერო წიგნში!

copy

დღეს მოქალაქეთა ნაწილი ფიქრობს, რომ ერთ ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, რომ მისი ძალისხმევა უმნიშვნელო იქნება და არაფერი გამოვა. აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს საკითხებისადმი ამგვარი დამოკიდებულების უარყოფას და იმის რწმენას, რომ ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია, რომ ერთ ადამიანსაც კი შეუძლია ყველაფერი შეცვალოს და ამის არა ერთი მაგალითი აქვს ისტორიას.

"ის, რასაც აკეთებთ, შესაძლებელია მეტისმეტად უმნიშვნელოდ გეჩვენებოდეთ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მაინც განაგრძოთ თქვენი საქმის კეთება."

**მაჰათმა განდი**



დემოკრატიული სახელმწიფოს შენება მხოლოდ მაღალი დემოკრატიული კულტურისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს შეუძლიათ.

ლიეტუვის პრეზიდენტმა, **დალია გრიბაუსკაიტემ,** 2018 წელს ქართველ ხალხს ასე მიმართა: „ქართველი ხალხის მიმართ ჩემი მთავარი გზავნილია, რომ ირწმუნონ საკუთარი თავის. ქართველმა ხალხმა უნდა იამაყოს საკუთარი ქვეყნით... თქვენ სწორ გზაზე ხართ. კარგად იცით, რა გსურთ. საქართველოს მომავალი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული."

**როგორ ფიქრობთ,** რას გულისხმობს ლიეტუვის პრეზიდენტის გზავნილი – როგორი მოქალაქეები შექმნიან ქვეყნის მომავალს?

**ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) - საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცესი“, წმ. ექვთიმე ღვთისკაცი**

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1921—1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ამრავლა, დაიცვა და უკლებლივ დააბრუნა სამშობლოში ეს უნიკალური მემკვიდრეობა.

ექვთიმე წერდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება, მეტი მომესწრო, მითუმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს . . . რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი . . . . არ იყო ხალხი, თითოოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო! . . რუსთველის გამზირზე სეირნობასა და პოპულარული სტატია-წიგნების კითხვას ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება . . .“

„ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისგან“

**გაეცანი** ექვთიმეს სიტყვებს და **იმსჯელე,** მისი რომელი მოქალაქეობრივი თვისებები იკვეთება და რა გამოარჩევს მას იმდროინდელი საზოგადოებისაგან?

**იმსჯელე -** როგორ ფიქრობ, რატომ უნდა იყოს მოქალაქე აქტიური?

თუ ადამიანები იცნობენ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების კანონით განსაზღვრულ ნორმებს, იციან, რომ მათ უფლებებთან ერთად აქვთ პასუხისმგებლობა თანამოქალაქეებისა და სახელმწიფოს წინაშე, პატივს სცემენ განსხვავებულ აზრს, შეუძლიათ კონფლიქტის წარმოშობისას სავალალო შედეგების განჭვრეტა და აქვთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის სურვილი და უნარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ფლობენ აქტიური მოქალაქისათვის საჭირო კომპეტენციებს. ასეთი ადამიანები გრძნო-

ბენ პასუხისმგებლობას მთლიანად საზოგადოების მდგომარეობაზე და თუ ისინი აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობენ და მონაწილეობენ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არიან აქტიური მოქალაქეები.

დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეების საზოგადოებას, სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებენ

**რა არის დემოკრატია?**

უკანასკნელ წლებში რამოდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს მთავარ კანონში - საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების სახალხო განხილვა. საქართველოს პარლამენტის წევრები ქვეყნის ყველა რეგიონში აწყობდნენ შეხვედრებს და მოქალაქეებთან ერთად მსჯელობდნენ განსახორციელებელ ცვლილებებზე. ამ განხილვებში მონაწილეობის საშუალება ჰქონდა საქართველოს ყველა მოქალაქეს.

საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა - აი, ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, მოქალაქეები თვითონ ქმნიან იმ კანონს, რომლის შესრულებაც თვითონ მათთვის სავალდებულოა.

**დემოკრატიის მთავარი მახასიათებელი ხალხის ნების უზენაესობაა. ეს არის სისტემა, სადაც ხალხი ადგენს წესებს (კანონებს), რომლებსაც შემდეგ თვითონვე ემორჩილება.**

დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა მოქალაქეს ერთნაირი შესაძლებლობა აქვს უშუალოდ ან წარმომადგენლის (მოქალაქეთა მიერ არჩეული პირის) საშუალებით მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც საზოგადოების წევრებს ეხება.

ხალხის აქტიური მონაწილეობის გარეშე, დემოკრატიის ეს მთავარი პრინციპები ვერ შესრულდება, ე.ი. ჭეშმარიტი დემოკრატია ვერ იარსებებს.



„დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში,“- წერდა 1917 წელს დიმიტრი უზნაძე, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი.



„დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, ხორციელდება ხალხის მიერ და ხალხისათვის“

**აშშ-ს პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი (1861-1865)**

„დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ მასში დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები არ იცხოვრებენ“

**თომას ჯეფერსონი, ამერიკის პრეზიდენტი (1801-1809), აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორი**

ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხი ოთხი კომპონენტით ფასდება: 1. დემოკრატიული ანუ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა; 2. ადამიანის უფლებების დაცვა; 3. ღია და ანგარიშვალდებული მთავრობა; 4. თავისუფალი და სამართლმიანი არჩევნები. ამ კომპონენტთაგან ერთ-ერთი უმთავრესი სამოქალაქო საზოგადოების არსებობაა.

გაეცანით კატოსა და მისი მეგობრების აქტივობას.

**კატო**

მე გორში ვცხოვრობ. რამდენჯერ მიფიქრია, რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენ ირგვლივ არავის შიოდეს. მეგობრებთანაც არაერთხელ მისაუბრია ამაზე. ამასწინათ იმედის ტელევიზიით სიუჟეტი ვნახე - გორის ცენტრში, ახალგაზრდული მოძრაობა „დროას“ ინიციატივით, „სოციალური მაცივარი“ დაიდგა, რომლის დახმარებითაც ადამიანებს საკვების ერთმანეთისთვის გაზიარება შეუძლიათ. კლასელებმა გადავწყვიტეთ, ეს იდეა სხვა ბავშვებისთვისაც გაგვეცნო და პროდუქტი შეგვეგროვებინა. ყველამ მივიღეთ მონაწილეობა, სოციალური მაცივრისთვის მშრალი საკვებიც მოვაგროვეთ და საყოფაცხოვრებო ნივთებიც. მთავარია, რომ ეს აქცია ერთჯერადი არ აღმოჩნდეს. რა კარგი იქნება, ტელეფონში რომ გვქონდეს სპეციალური აპლიკაცია, რომელზეც სუპერმარკეტები და რესტორნები იმ პროდუქტს განათავსებენ, რომლის ფასდაკლებით შეძენა ან უფასოდ მიღებაც შეეძლებათ ადამიანებს. ნეტა, სხვებიც შემოგვიერთდნენ ამ საქმეში.

**იმსჯელე -** აქტიური მოქალაქისთვის დამახასიათებელი რომელი თვისებებით გამოირჩევა კატო? რა უდევს საფუძვლად მის აქტივობას? როგორ შეიძლება ამგვარი ინიციატივა ერთჯერად აქციად არ დარჩეს?

**უპასუხე კითხვებს:**

1. შენი აზრით, რით განსხვავდება ინდივიდუალურად მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოებრივ ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილებებისაგან?
2. რა ცოდნითა და უნარებით გამოირჩევა აქტიური მოქალაქე?
3. შენი აზრით, რა შემთხვევაშია სამოქალაქო საზოგადოება ძლიერი?
4. როგორ შეიძლება გაძლიერდეს შენი საზოგადოება და რისი გაკეთება შეგიძლია ამისათვის?

### იმუშავეთ წყვილებში

**გაიხსნეთ** ღირსეული პიროვნებები წარსულიდან ან თანამედროვეობიდან, რომლებსაც მიიჩნევთ აქტიურ მოქალაქეებად. დაასაბუთე არგუმენტებით.
(რვეულში გადახაზე ცხრილი და შეავსე)

| აქტიური მოქალაქე | თქვენი არგუმენტები |
|---|---|
| | |
| | |
| | |

არ ჩაწერო წიგნში!

### დისკუსია

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისია, ადამიანმა საკუთარი საქმე აკეთოს, იზრუნოს პირად კეთილდღეობაზე, მოუაროს ოჯახს და არ არის აუცილებელი, ჩაერთოს საზოგადოებრივ აქტივობებში. გამართეთ დისკუსია თემაზე: **რატომ უნდა ვიყო აქტიური მოქალაქე?**

### საშინაო დავალება

**მოიძიე** ინფორმაცია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნახე მასზე გადაღებული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები; მოამზადე პრეზენტაცია, რომელშიც ასახული იქნება ექვთიმე, როგორც საზოგადო მოღვაწე, მოიტანე მისი აქტიური მოქალაქეობის დამადასტურებელი სამი არგუმენტი.

დოკუმენტური ფილმი- ექვთიმე https://1tv.ge/video/eqvtime/
ექვთიმე ღვთისკაცი - მხატვრული ფილმი 2018
https://www.youtube.com/watch?v=89KY_z8pLzg

# თავი II

# ადგილობრივი თვითმმართველობა

Don't Copy

# 1. მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა

**საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს:**

- გაიხსენე, რომელ თვითმმართველობებს იცნობ?
- შენი აზრით, რისთვის არის საჭირო თვითმმართველობა?

სოციალური ქსელის – Facebook-ის საშუალებით აქტიური მოქალაქეები ხშირად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს ქალაქსა თუ სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ.









- შენ რა შეგიძლია თქვა შენი ქალაქის, სოფლის, დაბის შესახებ – რა გაკეთდა მოქალაქეებისთვის და რა პრობლემებია მოსაგვარებელი?
- როგორ ფიქრობ, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე?

საქართველოს ყველა კუთხეში მოსახლეობას სხვადასხვა და ზოგჯერ მსგავსი პრობლემა აწუხებს.

შენ უკვე იცი, რომ თემში ადამიანების თანაცხოვრება გარკვეულ წესრიგს მოითხოვს, ერთობლივი საქმიანობა – შეთანხმებას, საცხოვრებელი სივრცე კი – მზრუნველობას თემის თითოეული წევრისგან. თემმა თვითონ უკეთ იცის

**თვითმმართველობა** არის ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის, ორგანიზაციის ან საზოგადოების ცალკეული ჯგუფის (მათ შორის, სასკოლო საზოგადოების) საქმეთა დამოუკიდებელი გამგებლობა.

თავისი პრობლემები და შეუძლია, თავად იზრუნოს მათ მოგვარებაზე. ისიც იცი, რომ ინიციატივა შეიძლება წამოვიდეს ერთი ადამიანის ან გარკვეული ჯგუფისგან, ხოლო მისი განხორციელება **ადგილობრივი თვითმმართველობის** მოვალეობაა.

**რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობა?** თავად სიტყვები მეტყველებენ საკუთარ თავზე.

ეს არის გარკვეულ ტერიტორიაზე, ე.წ. თვითმმართველ ერთეულში, მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ეს არის პასუხისმგებლობა, თავად მოუარო და იზრუნო შენს ქალაქზე, უბანზე, სოფელზე, დაბაზე.

თვითმმართველი ერთეული არის **მუნიციპალიტეტი.** ეს არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი და თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

„თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს.“ (ილია)

**მარიამი**

თითქმის ორი წელია ახალ სახლში გადმოვედით მე და ჩემი ოჯახი. ძველი სახლი ძალიან მიყვარდა, შენობის წინ მე და ჩემი და ეზოში ვთამაშობდით, ხშირად დავძვრებოდით ხეებზე.

ახალი სახლიც მომწონს, თუმცა აქ ნაკლები მცენარეა. თავიდან პრობლემა არ იყო, მაგრამ მერე სახლის სამივე მხრიდან მშენებლობა დაიწყეს და მთელ ქუჩაზე საშინელი მტვერი დადგა, თანაც მუშების ხმაურიც ადრიანად მაღვიძებდა. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ხეების ჩასარგავი ადგილი აღარსად დარჩა. ინტერნეტში ხშირად წამიკითხავს, რომ თბილისში ჰაერი საშინლად დაბინძურებულია. მაშინ რატომ აშენებენ ამდენ შენობას ყველგან, როცა შეიძლება იქ მცენარეები დაირგას?

დედა ხშირად ამბობს, რომ ქალაქის მოვლაზე პასუხისმგებელი მთავრობაა, თუმცა არ ვიცი, კონკრეტულად – ვინ, მთავრობაში ხომ იმდენი ადამიანია. მინდა, რომ ჩემი ქალაქი ლამაზი და გამწვანებული იყოს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რა შეიძლება მე გავაკეთო ან ვის მივმართო.

**იმსჯელე**

მარიამის რომელი უფლება ირღვევა ამ შემთხვევაში? რას ურჩევდი მას?

მშენებარე კორპუსი თბილისში

ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა, მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა **ადგილობრივი თვითმმართველობის** ფუნქციაა.

თითოეული მოქალაქის მოვალეობაა განსაზღვროს მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებები და თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით იზრუნოს მის მოგვარებაზე.

**უპასუხე კითხვებს:**

1. როგორ გესმის ილიას სიტყვების მნიშვნელობა: „ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს“?
2. რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი ფუნქცია?
3. შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მართვისთვის ადგილობრივი თვითმმართველობების არსებობა?
4. შენი აზრით, როგორ შეუძლია საზოგადოების თითოეულ წევრს ადგილობრივ თვითმმართველობაში თავისი წვლილის შეტანა?
5. რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს მოქალაქე ადგილობრივი პრობლემის მოგვარების პროცესში? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, თქვენს ქალაქში/სოფელში/დაბაში/უბანში თუ იყო მცდელობა მოქალაქეების მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით პრობლემის მოგვარებისა.

**დისკუსია**

მასწავლებლის დახმარებით ნახე რეპორტაჟი: **თბილისის პრობლემები – გამოკითხვა**

**რეპორტაჟი:** თბილისის პრობლემები – გამოკითხვა
http://www.tvpirveli.ge/?id=1921

რეპორტაჟის ნახვის დროს, დისკუსიის წარმართვამდე რვეულში გადახაზე სქემა და შეავსე, **ჩამოწერე** პრობლემები და **მიუთითე,** მათგან რომელია ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაჭრელი. **გამართეთ დისკუსია** თემაზე: **რა არის ამ პრობლემების არსებობის მიზეზი? რა უშლის ხელს პრობლემების მოგვარებას?**

| **პრობლემები** | **ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაჭრელი** |
|---|---|
| არ ჩაწერო წიგნში! | |

Don't Copy

### საშინაო დავალება

**დაიყავით** წყვილებად და **ჩაატარეთ მოსახლეობის გამოკითხვა** თქვენს უბანში/ქალაქში/სოფელში/ თემში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადასაჭრელი პრობლემების შესახებ.

**დავალების შესრულებამდე:**

- დაფიქრდით და განსაზღვრეთ მოქმედების ეტაპები,
- მოსაზრებები გაუზიარეთ ერთმანეთს – ვინ რას როდის გააკეთებს,
- შეარჩიეთ დავალების შესრულების საუკეთესო სტრატეგია,
- რა საშუალებით ჩაიწერთ ინტერვიუს (ვიდეო,აუდიო თუ წერილობითი ჩანაწერით)?

**კლასის წინაშე წარდგენის (პრეზენტაციის) დროს აღწერეთ:**

- როგორ გაართვით თავი დავალებას,
- თქვენგან შერჩეულმა რომელმა სტრატეგიამ გაამართლა,
- როგორ შედგა მოსახლეობასთან ურთიერთობა,
- გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას ამ პრობლემების მოგვარება.

### შემაჯამებელი კომპლექსური დავალება – პროექტი

იმისათვის, რომ თავი იგრძნო სამოქალაქო საზოგადოების წევრად, აქტიურად ჩაერთო შენი მუნიციპალიტეტის – ქალაქის/დაბის/სოფლის ცხოვრებაში, იზრუნო მის კეთილდღეობაზე, **დაიწყე მზადება პროექტისათვის: „ჩვენ და ჩვენი მუნიციპალიტეტი/ ქალაქი/დაბა/სოფელი“.** შექმენით **ბლოგი ან პორტფოლიო,** რომელშიც განათავსებთ ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ამ თავის სწავლის დროს განახორციელებთ.

- მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ პროექტის გეგმა, დაყავით ეტაპებად და სახელმძღვანელოს საშუალებით მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ეტაპობრივად განახორციელეთ.

ბლოგს/პორტფოლიოს უწოდეთ პროექტის სახელი, მაგ., **„ჩვენ და ჩვენი ბათუმი/ თბილისი/ ქუთაისი/ოზურგეთი...“** (იმ ქალაქის, დაბისა თუ სოფლის სახელი, სადაც ცხოვრობთ).

- თითოეულ მოსწავლეს შეუძლია, პროექტში მისთვის ყველაზე საინტერესო საქმიანობა შეარჩიოს, მაგალითად, ზოგი ტექნოლოგიების მიმართულებით იმუშავებს: გადაიღებს და დაამონტაჟებს ვიდეოებს, გააკეთებს აუდიოჩანაწერებს, შექმნის ბლოგის/პორტფოლიოს დიზაინს და გააკონტროლებს მას, ზოგი „შეითავსებს“ ჟურნალისტის როლს ინტერვიუს ასაღებად, ზოგი მკვლევარი იქნება, ზოგს შეიძლება კარგად გამოსდის წერა, ზოგს კი – პრეზენტაცია და ა.შ. კლასში ჩატარებული დისკუსიები თუ როლური თამაშიც შეგიძლიათ გადაიღოთ და ატვირთოთ.

- **გაითვალისწინეთ:** თავის დასრულების შემდეგ სასკოლო საზოგადოების/პარალელური კლასების ან მოწვეული სტუმრების (შესაძლებელია, მუნიციპალიტეტის რომელიმე თვითმმართველი ორგანოდან მოიწვიოთ წარმომადგენელი) წინაშე გააკეთებთ თქვენი ბლოგის/პორტფოლიოსა და მასში განხილული საკითხების პრეზენტაციას. თქვენ უნდა გამოავლინოთ თქვენი მოქალაქეობრივი პოზიციები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. თავადვე ჩაერთეთ განხორციელებული საქმიანობების **შეფასების რუბრიკების შექმნაში,** რომ ბოლოს შეფასდეს **თითოეული თქვენ-განის** ნაშრომი ცალ-ცალკე და პროექტი – მთლიანობაში.

- გაითვალისწინეთ ისიც, რომ პერიოდულად უნდა შეამოწმოთ მიმდინარე პროცესი, თუ რა ეტაპზეა პროექტი, რა ტიპის დახმარება გჭირდებათ.

- ბლოგის შექმნაში დაგეხმარებათ **საგანმანათლებლო ტექნოლოგიები – ციფრული რესურსების პორტალი:**

საგანმანათლებლო ტექნოლოგიები - ციფრული რესურსების პორტალი
http://www.ict.tpdc.ge/video/48?ch=161
http://www.ict.tpdc.ge/video/48?ch=162

**პროექტის I ეტაპი:**

თავიდანვე გადაინაწილეთ ფუნქციები:

- გამოყავით მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებიც შექმნიან ბლოგს, შეარჩევენ მის დიზაინს, გამოყოფენ რუბრიკებს.
- ბლოგზე განათავსეთ ინფორმაცია კლასის შესახებ, გააფორმეთ ფოტოებით. ბლოგზე ფოტო და ვიდეო მასალის განთავსებისას გაითვალისწინეთ მასწავლებლის რეკომენდაციები პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე.
- მოიძიეთ ან თავად დაწერეთ ესეები თქვენი ქალაქის/დაბის/სოფლის შესახებ, გადმოეცით მისი წარსული და აწმყო.

პირველ ეტაპზე შესასრულებელი ეს აქტივობები, შესაძლოა, ჯგუფებმა გადაინაწილონ. მუშაობის დასრულების შემდეგ მოხდეს მთელი კლასის წინაშე ნამუშევრების განხილვა და შერჩევა ბლოგისათვის.

# ლექსიკონი

**ადგილობრივი თვითმმართველობა** – თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

**ადვოკატირება** – საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა შეიძლება გულისხმობდეს როგორც ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის, პოზიციისა და პროგრამების ცვლილებას, ისე – იდეების შემუშავებას ამ ინტერესების დასაცავად, ან მათ შეთავაზებას საზოგადოებისათვის. ამას გარდა – საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნიშნავს საზოგადოების მხრივ ხმის ამაღლებას, მნიშვნელოვანი საკითხებისათვის თვალყურის დევნას და გადაწყვეტილებების მიმღებთაგან შესაბამისად გადაჭრის მოთხოვნას.

**ადმინისტრაციული საზღვრები** – (აქ) მუნიციპალიტეტის საზღვრები

**ბლოგი** - ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ წარმოებული ვებ-გვერდი  რეგულარული ჩანაწერებით, რომლიც აღწერს სხვადასხვა მოვლენებს, შეიცავს გრაფიკულ, ვიდეო, აუდიო მასალას. ბლოგების უმეტესობა შეიცავს კომენტარს ან ახალ ამბავს კონკრეტული თემის შესახებ, ზოგჯერ კი წარმოადგენს ონლაინ დღიურს.  ბლოგი აერთიანებს ტექსტს, გამოსახულებას, ბლოგების, ვებ-საიტების ლინკებს და თემასთან დაკავშირებულ მასალას. მკითხველებს აძლევს კომენტარების დატოვების საშუალებას.

**გრანტი** – უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული პროექტების, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისთვის.

**ბიუჯეტი** – სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.

**დაბა** – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ -კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ -კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;

**თალიბები, თალიბანი** – ისლამური სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ავღანეთში შეიქმნა 1994 წელს.  იმ დროს თალიბების მიზანი იყო ისლამური ნორმების აღდგენა. თალიბი მებრძოლები ძირითადად მოქმედებენ მცირე ჯგუფებათ და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესავური კავშირებით და რელიგიური აღმსარებლობით. თალიბანი თანამშრომლობს ბევრ ტერორისტულ ორგანიზაციასთან, მათ შორის ალ-ქაიდასთან. მათი საბრძოლო მოქმედებები ძირითადად პარტიზანული ხასიათისაა და მოქმედების არეალი არის ავღანეთი და პაკისტანი. თალიბანი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აღიარებულია როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

**თვითმმართველობა** – ამათუიმ ტერიტორიული ერთეულის, ორგანიზაციის ან მოქალაქეთა ჯგუფის საქმეთა დამოუკიდებელი გამგებლობა არჩევითი ორგანოების მეშვეობით ან უშუალო დემოკრატიის გზით (კრების, რეფერენდუმის და სხვა საშუალებებით).

**თვითმმართველი ერთეული** – მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

**თვითმმართველი ქალაქი** – ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.

**თვითმმართველი თემი** – რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.

**თვითმმართველობის ორგანოები** – ადგილობრივი თვითმმართველობა შეიცავს ორი სახის ორგანოებს, როგორებიცაა არჩევითი – საკრებულოები და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ფორმალურად მოწოდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა – საკრებულო. განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა ხდება შესაბამისი ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის მიერ, პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე.

**ინსტიტუცია** – (აქ) ორგანიზაცია.

**კომიქსი** – (ინგლ. Comics) — ვიზუალური ხელოვნების ფორმა, რომელიც შედგება გამოსახულებებისა და ტექსტის (დიალოგური ბუშტების ან ტიტრების სახით) კომბინაციისაგან.

**კომპეტენცია** - კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარი. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას.

**კომუნიკაცია** - ერთი პიროვნების ან ჯგუფის მიერ მეორესთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესი.

**კონცეფცია** – რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის გაგების, განმარტების გარკვეული წესი, ძირითადი თვალსაზრისი, მათი სისტემატური ანალიზის სახელმძღვანელო იდეა.

**მდგრადი განვითარება** – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

**მედიატორი** - მომრიგებელი, შუაკაცი. მედიატორი ნეიტრალური პირია, რომელიც წარმართავს მოდავე მხარეთა ურთიერთობას და ცდილობს, დაამყაროს ღია და გამჭვირვალე დამოკიდებულება მათ შორის. მას არ შეუძლია მხარეებს მიუთითოს რაიმე ქმედების განხორციელებაზე, ან მისცეს რჩევები.

**მუნიციპალიტეტი** – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ანდა სახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი),

რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

**ნობელის პრემია** - ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ყოველწლიური საერთაშორისო პრემია. გაიცემა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების, რევოლუციური გამოგონებების ან კულტურასა თუ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

სახელი ეწოდება მისი დამაარსებლის შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ალფრედ ნობელის პატივსაცემად. ნობელის ანდერძის მიხედვით, მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ კაპიტალს უნდა შეედგინა ნობელის პრემიის ფონდი. ნობელის პრემია ენიჭება ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის კანდიდატებს რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზეც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი ჯილდოსგან.

**ოპონენტი** – კამათის დროს საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანი. პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების საპირისპიროდ.

**პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. მაგალითად: თქვენი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო, ვიდეო ჩანაწერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა. პერსონალური მონაცემია ასევე ინფორმაცია მოქალაქის სამუშაო ადგილის, შემოსავლების, ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვა

**პეტიცია (ლათ. petitio - თხოვნა, მოთხოვნა)** - კოლექტიური თხოვნა, პრეტენზიის წარდგენა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვა კოლექტიური წერილობითი მოთხოვნით.

**პრევენცია** – წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად (მაგ., კონფლიქტის პრევენცია)

**რეგლამენტი** – სახელმწიფო ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობის განსაზღვრული წესების ერთობლიობა. მსგავსი მნიშვნელობით ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს როგორც სხდომის, კონფერენციის ან ყრილობის სესიათა წარმართვის წესების აღმნიშვნელი.

**რეინჯერი** – ტყის მცველი. რეინჯერი ყოველდღიურად პატრულირებს (ფეხით, ცხენით, მანქანით) თავის სამოქმედო ტერიტორიაზე საპატრულო ბილიკებზე და რაიმე დარღვევის აღმოჩენისას ახდენს კანონმდებლობის შესაბამის რეაგირებას. ადგილობრივ მოსახლეობაზე საშეშე მერქნის გაცემის დროს რეინჯერი ვალდებულია, მოსახლეს მიუთითოს და აჩვენოს ტყეკაფში მათთვის გამოყოფილი ხე-ტყე, რათა არ მოხდეს დაუნომრავი ხე-ტყის მოჭრა და მოპოვება, რაც, შესაბამისად, გაზრდის უკანონო ჭრებს. ასევე რეინჯერი უზრუნველყოფს თემთან ურთიერთობასა და ვიზიტორთა უსაფრთხო გადაადგილებას.

**რეფერენდუმი** – საყოველთაო-სახალხოკენჭისყრა (გამოკითხვა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თვალსაზრისით რომელიმე დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მაგ.: საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანება ან გამოსვლა, კონსტიტუციის მიღება, ტერიტორიული საკითხი, დამოუკიდებლობის მოპოვება თუ გამოცხადება და ა. შ.

**საჯარო დაწესებულება** – სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულებაა, აგრეთვე იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

**საჯარო ინფორმაცია** – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

**საჯარო სამსახური** – საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში.

**სერვისი** – მომსახურება.

**სოლიდარობა** – ვინმეს პოზიციის, შეხედულებების მხარდაჭერა, თანაგძნობა. რაიმე ქმედების ან აზრის აქტიური მხარდაჭერა, საერთო ინტერესების ქონა, ერთსულოვნება.

**სოფელი** – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

**ტერიტორიული ერთეული** – მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა, ქალაქი.

**ქალაქი** – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ -კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

**გამოყენებული წყაროები:**


საქართველოს კონსტიტუცია

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი – http://www.nplg.gov.ge

საქართველოს ორგანული კანონი – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

სოციალური პოლიტიკა საქართველოში №1 [ჰორიზონტი], თბ. 2002

გენდერული სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მარტი, 2020 წელი

მედია და ინფორმაციული წიგნიერების სწავლება. მედიის განვითარების ფონდი, 2019 წელი


მოქალაქეობა 8
მოსწავლის წიგნი


მოქალაქეობა 8
მასწავლებლის წიგნი